

RC-II

საერთო სამაგისტრო გამოცდა

2015

ინსტრუქცია

ტესტი ოთხი ნაწილისაგან შედგება:

- (1) წაკითხულის გააზრება (70 წუთი)
- (2) ანალიტიკური წერა (70 წუთი)
- (3) ლოგიკური მსჯელობა (70 წუთი)
- (4) რაოდენობრივი მსჯელობა (70 წუთი)

დღეს გამოცდა ჩატარდება წაკითხულის გააზრებასა და ანალიტიკურ წერაში.

ტესტის (1) ნაწილის ყოველ დავალებას ახლავს რამდენიმე სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. თითოეული დავალება ფასდება 1, 0 ან - 0,2 ქულით.

სწორი პასუხის გაცემისთვის იწერება 1 ქულა.

თუ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისთვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება - 0,2 ქულა).

თქვენ დაგირიგდათ ტესტურ დავალებათა რვეული და პასუხების ფურცელი.

ტესტურ დავალებათა რვეულში დატოვებული ცარიელი ადგილი შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი შეხედულებისამებრ. გაითვალისწინეთ, ნამუშევრის ეს ნაწილი არ მონშდება. თქვენი ნაშრომი შეფასდება მხოლოდ პასუხების ფურცლის მიხედვით.

პასუხები უნდა მონიშნოთ პასუხების ფურცელში ისე, როგორც ეს შემდეგ ნიმუშზეა ნაჩვენები პირველი დავალებისთვის. თუ თქვენ შეცდომით მონიშნეთ პასუხი, უფლება გექვსთ გამოასწოროთ თქვენი შეცდომა. ამისათვის სრულად უნდა გააფერადოთ აღნიშნული უჯრა. ამის შემდეგ შეგიძლიათ მონიშნოთ თქვენთვის სასურველი სხვა უჯრა, როგორც ეს მე-3 დავალებისთვის არის ნაჩვენები, ან დატოვოთ დანარჩენი უჯრები ცარიელი, როგორც ეს მე-4 დავალებისთვის არის ნაჩვენები (ამ უკანასკნელ შემთხვევაში ითვლება, რომ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული და დავალება ფასდება 0 ქულით). პასუხების ფურცელი აუცილებლად უნდა შეავსოთ იმ კალმით, რომელიც დაგირიგდათ.

	1.	2.	3.	4.	5.
ა.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ბ.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
გ.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დ.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ე.	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

გისურვებთ წარმატებას !

წაკითხულის გააზრება

სამუშაოდ გეძლევათ 70 წთ.

მოცემულია სამი ტექსტი: A, B და C. თითოეულს ერთვის შეკითხვები სავარაუდო პასუხებით. გააზრეთ ტექსტი და თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია ტექსტის მიხედვით.

ტექსტი A

- I ენებს შორის შეუძლებელია ზუსტ შესაბამისობათა დადგენა, რადგან არ არსებობს ორი იდენტური ენა არც იმ მნიშვნელობათა მიხედვით, რომლებსაც ესა თუ ის სიმბოლო გამოხატავს, და არც ამ სიმბოლოთა წინადადებაში ორგანიზაციის მიხედვით; აქედან გამომდინარეობს, რომ წარმოდგენელია სავსებით ზუსტი თარგმანის არსებობა.
- II ტრადიციულად, თავისუფალ თარგმანს უპირისპირებენ ზედმიწევნით თარგმანს, რომლის მიზანს წარმოადგენს უკიდურესად ზუსტი ფორმალური და სემანტიკური შესაბამისობების დადგენა, თუმცა ამ შემთხვევაში ტექსტი დახუნძლულია ხოლმე მთარგმნელის შენიშვნებითა და კომენტარებით. თავისუფალ თარგმანში კი ყურადღება იმდენად ინფორმაციის გადმოტანაზე არ არის გამახვილებული, რამდენადაც იმაზე, რომ მკითხველს დაახლოებით ისეთივე განწყობილება შეექმნას, როგორც ორიგინალის კითხვას.
- III ტექსტები ერთმანეთისაგან უპირატესად მათში ფორმის ან შინაარსის დომინირების ხარისხით განსხვავდებიან. რა თქმა უნდა, შინაარსი ყველა შემთხვევაში განუყოფელია ფორმისაგან და პირუკუ, მაგრამ ზოგ ტექსტში მთავარი მისი შინაარსია, ხოლო ზოგში უპირატესი მნიშვნელობა ფორმას ენიჭება. ამიტომ თარგმნისას აუცილებელია, მოინახოს ყველაზე უფრო მიახლოებული ეკვივალენტი.
- IV მთარგმნელობით პრაქტიკაში მთარგმნელობითი მიდგომის ორი ძირითადი ტიპი არსებობს: ფორმალური და დინამიკური ეკვივალენტობა. ფორმალური ეკვივალენტობის დაცვისას ყურადღება უპირატესად უშუალოდ ინფორმაციაზე, მის ფორმასა და შინაარსზეა გამახვილებული. მთარგმნელი ცდილობს, რომ თარგმანის ენაზე გადმოღებული ინფორმაცია რაც შეიძლება მეტად შეესატყვისებოდეს ორიგინალის ენაზე არსებულ ინფორმაციასა და მის ცალკეულ ელემენტებს. ორიგინალის ენის კულტურულ კონტექსტში არსებული ინფორმაციის პირდაპირი

გადმოტანისას, როდესაც არ ხდება მისი მისადაგება თარგმანის ენის კულტურულ ფონთან, თარგმანში ხშირად წარმოიქმნება ხოლმე ბუნდოვანება. ასეთ შემთხვევაში ფორმალური ეკვივალენტობის ტიპის თარგმანი საჭიროებს დამატებით ახსნა-განმარტებებს.

V თარგმანი, რომლის მიზანია, შექმნას არა ფორმალური, არამედ დინამიკური ეკვივალენტობა, ეფუძნება „ეკვივალენტური ეფექტის პრინციპს“. ამ შემთხვევაში მთარგმნელი ორიგინალისა და თარგმანის ინფორმაციის ურთიერთდამთხვევას კი არ ესწრაფვის, არამედ ნათარგმნ ტექსტსა და მის მკითხველს შორის დინამიკური კავშირის დამყარებას. დინამიკური ეკვივალენტობის პრინციპის მიხედვით შექმნილი თარგმანი მიზნად ისახავს გამოხატვის საშუალებების სრულ ბუნებრიობას. მკითხველი რჩება საკუთარი კულტურის კონტექსტში, ინფორმაციის აღსაქმელად მას არ მოეთხოვება ორიგინალის ენის კულტურული კონტექსტის ცოდნა, თუმცა მკითხველზე თარგმანის ზემოქმედება ამ შემთხვევაში მთლიანად მიახლოებულია ორიგინალის ზემოქმედების ძალასთან.

VI დღეისათვის საყოველთაო აზრი დინამიკური ეკვივალენტობის სასარგებლოდ იხრება. მართლაც, ყველა შემთხვევაში, პროზა ითარგმნება თუ პოეზია, გათვალისწინებული უნდა იყოს მკითხველის რეაქცია. ამიტომ, თარგმანის შეფასებისას, გადამწყვეტია, რამდენად მიღწეულია მიზანი – პოტენციურ აუდიტორიაზე მისი ზემოქმედება. სიტყვასიტყვით თარგმანსა და თავისუფალ თარგმანს შორის უპირატესობა ამ უკანასკნელს ენიჭება, განსაკუთრებით – პოეზიის თარგმნისას. მთარგმნელისათვის უფრო მნიშვნელოვანია სული, და არა ორიგინალის სიტყვათა რიგი; სწორედ ამ სულს ასხამს ხორცს თავის თარგმანში გამოცდილი მთარგმნელი. სიტყვებზე, დეტალებზე მიჯაჭვული მთარგმნელი ვერ გადმოგვცემს ორიგინალის სულს.

VII სრულყოფილი თარგმანის შექმნა არ არის ადვილი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ორიგინალის ავტორის სტილი ჭეშმარიტად კარგია და მასში გამოყენებულია ენის უხვი იდიომური მარაგი, როცა ავტორის სტილი აღბეჭდილია ენის შემოქმედებითი გენიით. ასეთ შემთხვევაში მთარგმნელს უხდება არა მარტო განსაკუთრებულ სიძნელეებთან შერკინება, რასაც ავტორის მიერ ენობრივი რესურსების ოსტატური გამოყენება ქმნის, არამედ თარგმანის ენაზე მეტად თუ ნაკლებად მიახლოებული ეკვივალენტური ღირებულების ნაწარმოების შექმნაც.

1. ავტორის ძირითადი მიზანია:

- (ა) გამოკვეთოს მკითხველის როლი მთარგმნელობითი მიდგომების შერჩევაში.
- (ბ) განიხილოს სათარგმნი ტექსტების ტიპები ფორმისა და შინაარსის მიხედვით.
- (გ) გამოკვეთოს მთარგმნელის დამოკიდებულება სათარგმნი მასალის მიმართ.
- (დ) განიხილოს მთარგმნელობით მიდგომათა ტიპები და მათი მიზანი.
- (ე) გამოკვეთოს, თუ რამდენად რთულია თარგმანში ორიგინალის სტილის ასახვა.

2. რა მიმართებაა დინამიკური და ფორმალური ეკვივალენტობის თარგმანებს შორის?

- (ა) როგორც დინამიკური, ისე ფორმალური ეკვივალენტობის თარგმანი ორიგინალის „სულში ჩაწვდომასა“ და მკითხველზე ზემოქმედებას ისახავს მიზნად.
- (ბ) დინამიკური ეკვივალენტობის თარგმანი ტექსტის ფორმის ზედმიწევნით გადმოტანაზეა ორიენტირებული, ხოლო ფორმალური – ტექსტის შინაარსის.
- (გ) დინამიკური ეკვივალენტობის თარგმანი თარგმანის უფრო ძველი, ტრადიციული ფორმაა, ვიდრე ფორმალური ეკვივალენტობის თარგმანი.
- (დ) როგორც ფორმალური, ისე დინამიკური ეკვივალენტობის თარგმანის მკითხველებს მოეთხოვებათ იმ კულტურული კონტექსტის ცოდნა, რომელშიც სათარგმნი ტექსტებია შექმნილი.
- (ე) ფორმალური ეკვივალენტობის თარგმანში ყურადღება ინფორმაციის გადმოტანაზეა გამახვილებული, ხოლო დინამიკურში – ორიგინალის განწყობის ასახვაზე.

3. თარგმანის თეორეტიკოსის, გერენის აზრით, „*ნაწარმოების მაღალხარისხოვნების მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს ის, თუ რამდენად რთულია მისი თარგმნა; თუ ნაწარმოების სხვა ენაზე დანაკლისის გარეშე თარგმნა დიდ შრომას არ მოითხოვს, ამ ნაწარმოებზე დიდი აზრისა არ უნდა ვიყოთ.*“

ტექსტის რომელ აზნაცშია გამოთქმული მსგავსი თვალსაზრისი?

- (ა) მხოლოდ III და IV
- (ბ) მხოლოდ IV
- (გ) მხოლოდ VI
- (დ) მხოლოდ VI და VII
- (ე) მხოლოდ VII

4. ტექსტიდან გამომდინარე, ყველაზე მეტად რას შეიძლება ემსახურებოდეს ფორმალური ეკვივალენტობის თარგმანზე დართული მთარგმნელისეული კომენტარები?

- (ა) თარგმანის ენის კულტურული კონტექსტის გაგებას.
- (ბ) ორიგინალის ენის კულტურული კონტექსტის გაგებას.
- (გ) ორიგინალის მაღალმხატვრული ღირებულების გამოკვეთას.
- (დ) შერჩეული მთარგმნელობითი მიდგომის აუცილებლობის დასაბუთებას.
- (ე) ფორმალური ეკვივალენტობის მთარგმნელობითი მეთოდის არსის გაგებას.

5. მხატვრობის შესახებ ქვემოთ გამოთქმული აზრებიდან რომელი ეხმიანება ყველაზე მეტად ტექსტში წარმოდგენილ თვალსაზრისს?

- (ა) ცნობილ მხატვართა შედეგების ასლების შექმნისას განსაკუთრებით რთულია ორიგინალის სულის შენარჩუნება.
- (ბ) მხატვარმა, პეიზაჟის ხატვისას, ყველა წვრილმანი კი არ უნდა გამოსახოს, არამედ „მის სულს უნდა ჩაწვდეს.“
- (გ) ჰოლანდიელ მხატვართა პორტრეტებში ასახულია არა მარტო ადამიანის განწყობა, მისი ხასიათი, არამედ გულმოდგინედ არის დამუშავებული ყველა დეტალი.
- (დ) ეკლესიების კედლებზე შემორჩენილ ფრესკათა ასლების შექმნა ფერმწერ რესტავრატორთაგან განსაკუთრებულ სიზუსტეს მოითხოვს.
- (ე) რეალისტური მხატვრობის მოყვარულებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ის ფერწერული ტილო, რომელზეც წვრილმან დეტალებშია გადმოცემული გარემომცველი სამყარო.

6. ტექსტში:

- (ა) წარმოდგენილია თეორია და მისი განვითარების ეტაპები.
- (ბ) წარმოდგენილია ავტორისეული კრიტიკა განხილული თვალსაზრისების მიმართ.
- (გ) ჩამოყალიბებულია ორი მიდგომა და წარმოჩენილია ერთ-ერთის უპირატესობა მეორესთან შედარებით.
- (დ) ჩამოყალიბებულია ერთ პრობლემასთან დაკავშირებული საპირისპირო შეხედულებები.
- (ე) ჩამოყალიბებულია თეორია და წარმოჩენილია მისი მნიშვნელობა მოცემული საკითხის კვლევისათვის.

ტექსტი B

როდესაც რომაელებმა ბერძნული სამყაროს ნანგრევებზე საკუთარი იმპერია დააარსეს, მათ წინაშე ახალი ამოცანები დაისვა, რაც ყველაზე თვალსაჩინოდ სამოქალაქო მშენებლობაში აისახა; ცნობილია მათ მიერ აგებული გზები, აკვედუკები, საზოგადოებრივი ახანოები, ტრიუმფალური თაღები და სხვ. რომაელებს სჩვეოდათ ბერძნული არქიტექტურიდან იმის აღება, რაც მოსწონდათ, და საჭიროებისამებრ გამოყენება. ამის მაგალითია ამფითეატრი, რომელიც ბერძნულ კულტურაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და რომაულშიც გავრცელდა. ტიპურ რომაულ ნაგებობაში ოსტატურად იყო შეთავსებული რომაული სტრუქტურა და ბერძნული სვეტების ფორმები – ორდერები.

რომაული არქიტექტურის ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებლად თაღების გამოყენებას მიიჩნევენ. ბერძნულ ნაგებობებში ამ კონსტრუქციას არ მიმართავდნენ. თუ არქიტექტორი თაღის აგების რთულ ხელოვნებას ფლობს, მას შეუძლია თაღის გამოყენებით ხიდის თუ აკვედუკის ბურჯები შეაერთოს, კამაროვანი ჭერიც კი ააგოს. რომაელები კამარის მრავალგვარი ტექნიკური საშუალებით ამოყვანის დიდი ოსტატები იყვნენ.

ერთ-ერთი ამოცანა, რომელიც რომაელების წინაშე იდგა, იყო ზედმიწევნით მიმსგავსებული გამოსახულებების შექმნა. ადრეულ რელიგიაში რომაელებს წესად ჰქონდათ, დაკრძალვის პროცესიის დროს წინაპართა ცვილის გამოსახულებები ეტარებინათ, რადგან სწამდათ, რომ მიმსგავსებული გამოსახულება გარდაცვლილის სულს იცავდა. მოგვიანებით, როცა რომი იმპერია გახდა, იმპერატორის ბიუსტს რელიგიური კრძალვით ეპყრობოდნენ. როგორც ცნობილია, ყველა რომაელს, ერთგულებისა და ქვეშევრდომობის ნიშნად, იმპერატორის ქანდაკების წინაშე საკმეველი უნდა ეკმია. გამოსახულების ასეთი განსაკუთრებული მნიშვნელობის მიუხედავად, რომაელები ნებას რთავდნენ თავიანთ ოსტატებს, ბერძენი ხელოვანებისაგან განსხვავებით, ქანდაკებები რეალისტურად, შელამაზების გარეშე შეესრულებინათ.

რომაელებს მიზნად ჰქონდათ დასახული, ყველასათვის ეცნობებინათ საკუთარი გამარჯვებების შესახებ. ამისათვის მათ ძველ აღმოსავლეთში, მაგალითად, ეგვიპტეში გავრცელებული ერთ-ერთი ჩვეულება გააცოცხლეს – ისინი აღმართავდნენ სვეტებს, რომლებზეც თავიანთი ლაშქრობების დასურათებულ ქრონიკას გამოსახავდნენ. მათ შესაქმნელად ბერძნული ხელოვნების საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილი მთელი ოსტატობა იყო გამოყენებული. მაგრამ სვეტებს საკმაოდ უცვალა სახე მიზანმა, შინ დარჩენილთათვის სრულად გადმოეცათ მეომართა საგმირო საქმეები. ამისათვის რომაელები ამზავს დეტალურად, თვალნათლივ ასახავდნენ, გამოსახულებას გულმოდგინედ ამუშავებდნენ. ბერძნულისაგან განსხვავებით, რომაელების მთავარი მიზანი აღარ იყო ჰარმონია და სილამაზე.

ქრისტეს შემდგომ საუკუნეებში ბერძნული და რომაული ხელოვნების დარგებმა აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ხელოვნებაშიც შეაღწია. ეგვიპტელები მიცვალებულს კვლავ მუმიის სახით მარხავდნენ, მაგრამ მას ეგვიპტური ყაიდის გამოსახულებით კი აღარ ამკობდნენ, არამედ ისეთი ნახატით, რომელიც რომაული პორტრეტის ტექნიკით იყო შესრულებული. ძველი ხელოვნების ნაწარმოებებს შორის ცოტა თუ გამოიყურება მათსავით ცოცხლად და რეალისტურად.

მარტო ეგვიპტელებმა როდი მოარგეს ხელოვნების ახალი მეთოდები თავიანთ რელიგიურ საჭიროებებს. ამბის გადმოცემისა და გმირის განდიდების რომაული წესი შორეულ ინდოეთშიც კი შეითვისეს იმ მოქანდაკეებმა, რომელთაც მიზნად დაისახეს, ბუდას ისტორია აღეწერათ. ქანდაკების ხელოვნება ინდოეთში ბერძნულ-რომაული გავლენის გავრცელებამდე ბევრად ადრე იყო განვითარებული, თუმცა ბერძნული ხელოვნება, რომელმაც ადამიანებს ღმერთებისა და გმირების ლამაზად გამოსახვა ასწავლა, ინდოელებსაც დაეხმარა მათი მხსნელის სახის სრულყოფაში.

7. ავტორის ძირითადი მიზანია:

- (ა) წარმოაჩინოს რომაული ხელოვნების როლი სახვითი ხელოვნების განვითარებაში.
- (ბ) წარმოაჩინოს განსხვავება რომაულ და ბერძნულ ხელოვნებას შორის.
- (გ) აღწეროს რომაული ხელოვნების განვითარების ეტაპები.
- (დ) მიმოიხილოს რომაული ხელოვნების ძირითადი მახასიათებლები და მისი მიმართება სხვა კულტურებთან.
- (ე) გააანალიზოს რომაული ხელოვნების მიზნები და ამოცანები.

8. ჩამოთვლილთაგან რომელშია მართებულად ასახული მიმართება რომაულ და ბერძნულ ხელოვნებას შორის?

- (ა) ბერძნული კულტურის საფუძველზე შექმნილ რომაულ ხელოვნებას განსაკუთრებული ცვლილება არ განუცდია.
- (ბ) ახლადშექმნილმა რომის იმპერიამ ახალი, ბერძნულისაგან განსხვავებული, ხელოვნების დარგები განავითარა.
- (გ) რომაულმა ხელოვნებამ ბერძნული მემკვიდრეობის საფუძველზე შექმნა საკუთარი კულტურა მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნებით.
- (დ) რომაულმა ხელოვნებამ, ბერძნულისაგან განსხვავებით, აღმოსავლეთის ქვეყნების ხელოვნებაზე დიდი გავლენა მოახდინა.
- (ე) რომაული ხელოვნებისათვის, ბერძნულისაგან განსხვავებით, წამყვანი ესთეტიკური პრინციპები იყო.

9. ეგვიპტური კულტურის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან ტექსტში დასტურდება:

- (ა) დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებული ეგვიპტური მხატვრობა რომაულმა პორტრეტულმა ტრადიციამ ჩაანაცვლა.
- (ბ) ეგვიპტეში მიცვალებულთა დაკრძალვის წესები შეიცვალა ბერძნული და რომაული კულტურის გავლენით.
- (გ) პორტრეტის ხელოვნებას ეგვიპტეში წმინდა დეკორატიული დანიშნულება ჰქონდა.
- (დ) რომაული და ბერძნული ხელოვნების გავლენა ეგვიპტურ კულტურაზე ცალმხრივი იყო.
- (ე) ქრისტეს შემდგომი პერიოდის ეგვიპტური ხელოვნების ნიმუშები უმეტესწილად ბერძენი ოსტატების მიერაა შექმნილი.

10. ჩამოთვლილთაგან რომელი არ გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) სამოქალაქო მშენებლობის განვითარებამ განსაზღვრა რომაული არქიტექტურის სახე.
- (ბ) ქრისტეს შემდგომი საუკუნეების რომაულ კულტურაზე უდიდესი გავლენა მოახდინა აღმოსავლურმა კულტურამ.
- (გ) იმპერიის ძლევამოსილების პროპაგანდისათვის რომაულ ხელოვნებაში ძველი აღმოსავლური ტრადიცია გამოიყენეს.
- (დ) რომის მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, სპეციალურად აღმართულ სვეტებზე იმპერიის ლაშქრობები დეტალურად იყო გამოსახული.
- (ე) ახალი ტექნიკური მეთოდების გამოყენებამ ბიძგი მისცა რომაული არქიტექტურის განვითარებას.

11. *„კოლოსეუმი უტილიტარული ნაგებობაა ერთმანეთის თავზე მოთავსებული თაღების სამი სართულით, რომლებიც შიდა ამფითეატრის დასასხდომ ადგილთა საყრდენის ფუნქციას ასრულებს. ამ თაღების წინა ფასადზე რომაელ არქიტექტორს შირმის მსგავსი რამ მოუთავსებია და სვეტების სამი ორდერი გამოუყენებია: დორიული, იონური და კორინთული.“*

კოლოსეუმის აღწერაში წარმოდგენილი არქიტექტურული ფორმებიდან რომელია წმინდა რომაული?

- I. თაღები
 - II. ამფითეატრი
 - III. სვეტები
-
- (ა) მხოლოდ I
 - (ბ) მხოლოდ II
 - (გ) მხოლოდ III
 - (დ) მხოლოდ I და II
 - (ე) მხოლოდ II და III.

12. ჩამოთვლილთაგან რომელი დასტურდება ტექსტში?

- (ა) ბერძნებს კამაროვანი ჭერის აგების შეზღუდული ტექნიკური საშუალებები ჰქონდათ, რომაელებს კი – მრავალგვარი.
- (ბ) რომაულ ხელოვნებაში ბერძნულის გავლენა ყველაზე მეტად ქანდაკებაში ჩანს.
- (გ) რომში ქანდაკებების წინაშე პატივისცემის გამოხატვა ბერძნული ტრადიციის გაგრძელებას წარმოადგენდა.
- (დ) რომაელ იმპერატორთა პორტრეტები, მათი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, გამორჩეულად დახვეწილი, ჰარმონიული უნდა ყოფილიყო.
- (ე) არქიტექტურული მეთოდების განვითარებამ რომაელ არქიტექტორებს ახალი კონსტრუქციების აგების შესაძლებლობა მისცა.

13. ტექსტის მიხედვით, რეალისტურ გამოსახულებებს ქმნიდნენ:

- I. ბერძნები
 - II. რომაელები
 - III. ინდოელები
 - IV. ეგვიპტელები
- (ა) მხოლოდ I და II
 - (ბ) მხოლოდ II
 - (გ) მხოლოდ III
 - (დ) მხოლოდ II და IV
 - (ე) მხოლოდ III და IV

14. რომელი დასკვნა გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) ბერძნული და რომაული ხელოვნების გავლენით, ეგვიპტესა და ინდოეთში ხელოვნების ახალი დარგები განვითარდა.
- (ბ) ხელოვნების ახალი მეთოდები ეგვიპტელებმა რელიგიურ სფეროს დაუკავშირეს, ინდოელებმა კი ყოფითი, ცხოვრებისეული სიუჟეტების გადმოსაცემად გამოიყენეს.
- (გ) ბერძნული და რომაული ხელოვნების გავლენა უფრო არსებითი აღმოჩნდა ინდოეთისათვის, ვიდრე – ეგვიპტისათვის.
- (დ) რომაული ხელოვნების გავლენით, ინდურ ქანდაკებაში ბუდას ისტორია აისახა, ეგვიპტეში კი დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებული ახალი ტიპის პორტრეტი შეიქმნა.
- (ე) ამბის გადმოცემის რომაული წესი ეგვიპტური და ინდური ხელოვნების სხვადასხვა დარგში აისახა.

ტექსტი C

ადამიანის, ისევე როგორც სხვა ცოცხალი ორგანიზმების სიცოცხლეს საერთო ბიოლოგიური წესები წარმართავს, მაგრამ ადამიანს აქვს ერთი, განსხვავებული, ადამიანური არსებობისათვის დამახასიათებელი, განსაკუთრებული ნიშან-თვისება. ნერვული სისტემის **რეცეპტორული და ეფექტორული** ნეირონების გარდა, რითაც აღჭურვილია ცხოველთა ყველა სახეობა, ადამიანი იყენებს მესამე, მათ შემაერთებელ ნეირონულ რგოლს, რომელსაც შეგვიძლია **სიმბოლური** სისტემა ვუწოდოთ. ამით ადამიანმა გარე სამყაროსთან შეგუების „ახალ მეთოდს“ მიაგნო, რომელიც მთლიანად გარდაქმნის ადამიანის არსებას. ადამიანის საფუნქციო სივრცე, ცხოველებთან შედარებით, გაიზარდა არა მარტო რაოდენობრივად, არამედ მან თვისებრივი ცვლილებაც განიცადა.

გარეგან გალიზიანებაზე ცხოველისა და ადამიანის რეაქციებს შორის განსხვავება თვალსაჩინოა; თუ პირველ შემთხვევაში გალიზიანებას მოსდევს პირდაპირი და მყისიერი პასუხი, მეორე შემთხვევაში რეაქცია შეყოვნებულია, რადგან ის აზროვნების პროცესით, წარმოსახვით არის გაშუალებული. ასეთი „შეყოვნების“ სარგებელი ზოგიერთი დიდი მოაზროვნისათვის საეჭვოა. როგორც **ჟან-ჟაკ რუსო** აღნიშნავს, „მოაზროვნე ადამიანი“ არის „გადაგვარებული ცხოველი“, ორგანული არსებობის ზღურბლის გადალახვას მოჰყვება „ადამიანის დაცემა, და არა მისი გაკეთილშობილება“.

მაგრამ, ასეა თუ ისე, ადამიანი ვერ შეაჩერებს თავის განვითარებას, მან უნდა მიიღოს საკუთარი არსებობის პირობები; ადამიანი აღარ ცხოვრობს მხოლოდ ბუნებრივ სამყაროში, იგი სიმბოლური სამყაროს მკვიდრიცაა. ენა, მითოსი, ხელოვნება და რელიგია ამ სამყაროს ნაწილებია, ისინი ჭრელი ძაფებია, რითაც იქსოვება სიმბოლური ბადე – ადამიანური გამოცდილების მრავალკვანძოვანი ხალიჩა. ამ ბადეს სიფაქიზესა და გამძლეობას ჰმატებს ადამიანის ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი აზროვნებასა და გამოცდილებაში.

ადამიანი, ცხოველისაგან განსხვავებით, სინამდვილეს უშუალოდ აღარ ეხება. რაც უფრო მწიფდება ადამიანის სიმბოლური აზროვნება და მოქმედება, მით უფრო მეტად გაურბის მას „ხელუხლებელი“ სინამდვილე. ნაცვლად იმისა, რომ უშუალოდ დაამყაროს ურთიერთობა საგნებთან, ადამიანი, გარკვეული აზრით, მუდამ თავისი თავით არის გართული. იგი ისეთი ძალითაა ჩაფლული ენობრივ ფორმებში, მითოსურ სიმბოლოებსა თუ რელიგიურ ჩვევებში, რომ აღარ ძალუძს რაიმე აღიქვას ამ ხელოვნურ მედიუმთა გარეშე. როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სფეროში, ადამიანი ცხოვრობს არა ჯიუტი ფაქტების ან თავისი უშუალო სურვილებისა და მოთხოვნილებების მიხედვით, არამედ უფრო მეტად წარმოსახული ხატების, იმედებისა და შიშის, ილუზიებისა და საკუთარი ფანტაზიების სამყაროში. **ეპიქტეტეს** სიტყვებით: „ადამიანს აშფოთებს არა საგნები, არამედ საკუთარი შეხედულებები ამ საგნებზე“.

კლასიკური დეფინიციის მიხედვით, ადამიანი არის *animal rationale*. გონიერება მართლაც ყველანაირი ადამიანური აქტივობის სპეციფიკური ნიშანია, მაგრამ ამ დეფინიციის ავტორებს, დიდ მოაზროვნეებს, არ გაუთვალისწინებიათ, რომ „გონების“ ცნება მეტისმეტად ვიწროა და ის ვერ იტევს ადამიანის კულტურული არსებობის სიმბოლურ ფორმებს მთელი თავისი სიმდიდრითა და მოცულობით. ამიტომ უფრო სწორია ადამიანი განისაზღვროს, როგორც *animal symbolikum*. ამით მის განსაკუთრებულ თავისებურებას, გონიერებას, გამოვკვეთთ და იმ ახალ გზასაც მივუთითებთ, რომლითაც მხოლოდ ადამიანს შეუძლია იაროს – გზას ცივილიზაციისაკენ.

15. ტექსტის ძირითადი მიზანია:

- (ა) წარმოადგინოს სხვადასხვა მოსაზრება ადამიანის, როგორც გონიერი არსების, შესახებ.
- (ბ) გამოკვეთოს სიმბოლური აზროვნების მნიშვნელობა ადამიანის განვითარებაში.
- (გ) გამოკვეთოს განსხვავება ადამიანისა და ცხოველის ნერვულ სისტემათა შორის.
- (დ) გააკრიტიკოს ადამიანის ცნების სხვადასხვა დეფინიცია.
- (ე) აღწეროს ადამიანის, როგორც გონიერი არსების, განვითარების გზა.

16. ცხოველისა და ადამიანის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან, ტექსტის მიხედვით, მართებულია:

- (ა) ადამიანის სამყარო ცხოველთა სამყაროსაგან სრულიად განსხვავდება.
- (ბ) ადამიანის საფუნქციო წრე, ცხოველებისაგან განსხვავებით, მხოლოდ თვისებრივად შეიცვალა.
- (გ) ცხოველს ადამიანზე უფრო რთული აგებულების ნერვული სისტემა გამლიზიანებელზე სწრაფი რეაგირების საშუალებას აძლევს.
- (დ) ცხოველებისაგან განსხვავებით, ადამიანის რეცეპტორული და ეფექტორული ნეირონების მუშაობა „სიმბოლური სისტემითა“ გაშუალებული.
- (ე) როგორც ცხოველის, ისე ადამიანის შემთხვევაში, გარეგან გალიზიანებას მოსდევს პირდაპირი და მყისიერი რეაქცია.

17. ქვემოთ წარმოდგენილ განმარტებათაგან ტექსტში არ დასტურდება:

- (ა) კლასიკური დეფინიციის მიხედვით, ადამიანი არის გონიერი ბიოლოგიური ცხოველი.
- (ბ) ფრაზა „ადამიანი მუდამ თავისი თავით არის გართული“ გულისხმობს, რომ ის ცხოვრობს არა ფაქტების, ან უშუალო მოთხოვნილებების მიხედვით, არამედ წარმოსახული სამყაროს წესებით.
- (გ) ფრაზა „გადაგვარებული ცხოველი“ გულისხმობს, რომ ადამიანმა სრულად დაკარგა გარემოსთან შეგუების ცხოველთა სამყაროსათვის დამახასიათებელი თვისებები.
- (დ) ტერმინი *animal symbolism* გულისხმობს, რომ ადამიანი არის გონიერი, სიმბოლოებით მოაზროვნე ცხოველი.
- (ე) ფრაზა „ადამიანს აშფოთებს არა საგნები, არამედ საკუთარი შეხედულებები ამ საგნებზე“ გულისხმობს, რომ ადამიანის გარემოსთან ურთიერთობა გაშუალებულია წარმოსახვით.

18. ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნა არ გამომდინარეობს ტექსტიდან?

- (ა) ადამიანის საფუნქციო სივრცის რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები აზროვნების უნარმა განაპირობა.
- (ბ) რეცეპტორული და ეფექტორული სისტემების შემაერთებელი ნეირონული რგოლი არის ადამიანის განვითარების არსებითი საფუძველი.
- (გ) ტექსტის ავტორის აზრით, ადამიანის კლასიკური განმარტება მოითხოვს დაზუსტებას.
- (დ) სიმბოლური აზროვნების განვითარება აფერხებს ადამიანის სვლას ცივილიზაციისაკენ.
- (ე) ცხოველის რეაქცია გაღიზიანებაზე უშუალოა, ადამიანისა კი – გაშუალებული.

19. ჟან-ჟაკ რუსოს, ეპიქტეტეს და ტექსტის ავტორის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან მართებულია:

(ა) ჟან-ჟაკ რუსო, ეპიქტეტე და ტექსტის ავტორი იზიარებენ მოსაზრებას, რომ სიმბოლური აზროვნების განვითარება ადამიანისათვის სიკეთის მომტანი არ აღმოჩნდა.

(ბ) ჟან-ჟაკ რუსოს მსგავსად, ავტორს მიაჩნია, რომ სიმბოლური აზროვნება პროგრესის საფუძველია.

(გ) ჟან-ჟაკ რუსოს და ეპიქტეტეს აზრით, რეალობის გაშუალებულმა აღქმამ ადამიანი უფრო კეთილშობილი არ გახადა.

(დ) ეპიქტეტესა და ავტორის მოსაზრებით, ადამიანის გონიერება არის ცივილიზაციის საფუძველი.

(ე) ჟან-ჟაკ რუსო, ეპიქტეტე და ავტორი მიიჩნევენ, რომ ადამიანის მიერ რეალობის აღქმა ძირითადად წარმოსახვით არის გაშუალებული.

20. ჩამოთვლილთაგან რომელშია ასახული მცდარად ტექსტში გამოთქმული მოსაზრება?

(ა) ჟან-ჟაკ რუსოს აზრით, ადამიანი „გადაგვარებულ ცხოველად“ ორგანული არსებობის ზღურბლის გადალახვამ აქცია.

(ბ) „შეყოვნება“ გულისხმობს გარეგან გაღიზიანებაზე ადამიანის აზროვნების პროცესით გაშუალებულ რეაქციას.

(გ) მითოსი, ხელოვნება და რელიგია ის ჭრელი ძაფებია, რითაც ობიექტური სამყარო „იქსოვება“.

(დ) ადამიანი სამყაროს ეხება არა უშუალოდ, არამედ ისეთ ხელოვნურ მედიუმთა დახმარებით, როგორცაა მითოსური სიმბოლოები, ხელოვნება და ა. შ.

(ე) ჟან-ჟაკ რუსოს მიხედვით, აზროვნების განვითარება ადამიანისათვის სასიკეთო არ აღმოჩნდა.

21. აზროვნების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელი დასტურდება ტექსტში?

(ა) სიმბოლური აზროვნებით გაშუალებული მოქმედება „ხელუხლებელი“ სინამდვილის შეცნობის საუკეთესო გზაა.

(ბ) რაციონალური აზროვნების განვითარების შედეგად ადამიანი შორდება ილუზიებისა და ფანტაზიების სამყაროს.

(გ) ადამიანის ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი აზროვნებასა და გამოცდილებაში აძლიერებს ადამიანის ურთიერთობას ბუნებრივ სამყაროსთან.

(დ) გზას ცივილიზაციისაკენ ძირითადად განსაზღვრავს რეალურ გარემოსთან ადამიანის უშუალო კავშირი.

(ე) სიმბოლური აზროვნების განვითარებასთან ერთად, მცირდება ადამიანის სინამდვილესთან უშუალო შეხების გამოცდილება.

